



ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობა ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება

განყოფილების უფროსი: სოფიო ხაბაზი

ტელ: 599 85 12 21

ელ. ფოსტა: sofio.khabazi@gmail.com

2017 წლის 12 აგვისტოს გასაჯრცელებლად

ა ნ ო ნ ს ი

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე
ქედაში გრანდიოზულად აღინიშნება

2017 წლის 12 აგვისტოს, დღის 17 საათზე, მახუნცეთის ჩანჩქერის მიმდებარედ, მინი სპორტული მოედნის ტერიტორიაზე, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე გრანდიოზულად აღინიშნება. მონაწილეებს ახალგაზრდობის დღეს თვითმმართველობის მოხელეები მიულოცავენ.

ღონისძიება წელს განსხვავებული ფორმატითაა დაგეგმილი: მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებთან ერთად, ტურისტებს შეეძლება ჩაერთონ მოწვეული ანიმატორების მიერ გამართულ სხვადასხვა გასართობ შოუ პროგრამებში (ხანგრძლივობა 2 საათი), კონკურსებში (გამარჯვებულები დასაჩუქრდებიან), იხილონ ტრანსპორმერი რობოტის ინსცენირებები, დიჯეის, ფრანებისა და ფოიერვერკების შოუები და ა.შ.

ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში ღონისძიება წელს მეხუთედ აღინიშნება და მისი მიზანია ახალგაზრდებში მუხტის შექმნა და სტიმულის ამაღლება. პროგრამის ბიუჯეტი 1800 ლარია.

ახალგაზრდობის ტრანსპორტირებას ქედის გამგეობა უზრუნველყოფს.

ანოტაცია

გაეროს ინიციატივით მსოფლიო 1999 წლიდან ყოველ 12 აგვისტოს აღნიშნავს ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს. სიტყვა "შემოქმედება" ყოველთვის აქტუალურია: 1999 წლიდან, როცა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე დაწესდა, დღემდე დღესასწაულის ორგანიზატორები იგონებენ განსხვავებულ თემებს. მსოფლიოში დღეს სამი მილიარდი ადამიანი ცხოვრობს, რომელთა ასაკი 25 წელზე ნაკლებია, და აქედან ნახევარ მილიარდზე მეტი სიღარიბის ზღვარს ქვევით ცხოვრობს - არა აქვს სამუშაო და არა აქვს სწავლის საშუალება. 12 აგვისტოს მსოფლიოს ამ ახალგაზრდების პრობლემებს ახსენებენ.

წელს პირველად, დაბა ქედის ნაცვლად, ღონისძიება მახუნცეთში გაიმართება. ვინაიდან ეს დღე საერთაშორისოა, თვითმმართველობის გადაწყვეტილებით, ტურისტთა დიდი ნაკადის გამო ღონისძიებამ მახუნცეთში გადაინაცვლა.

ახალგაზრდებს ამ დღისთვის გამგეობამ სპეციალური მათსურები შეუძინა.

ღონისძიების ორგანიზატორი და ფინანსური მხარდამჭერი ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობაა.